



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



მასტიტი



რა არის მასტიტი?

მასტიტი ცხოველის სარძევე ჯირკვლის (ცურის) ანთებაა, რომელიც ერთ-ერთ ან რამდენიმე მეოთხედში ვლინდება და იწვევს ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასა და პროდუქტიულობის კლებას. მასტიტის დროს ვლინდება:



- წველადობის კლება.
- რძის არაერთგვაროვანი შემცველობა (ლორწო, სისხლი, ჩანართები).
- სიმაგრეები ცურში.
- ცურის გასიება, სინითლე, მხურვალე მეოთხედი და ტკივილი.
- შესაძლოა წველადობის უეცარი შეწყვეტაც გამოიწვიოს.

თუ ანთება განსაკუთრებით ძლიერია, შეიძლება დაავადებული მეოთხედის ჯირკვლოვანი ქსოვილი დაზიანდეს და ვეღარ შეძლოს რძის გამომუშავება.

ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს ფარულ მასტიტს, რომელიც არ არის ძლიერი, მიმდინარეობს ხანგრძლივად, და ნელ-ნელა ასუსტებს ცხოველის პროდუქტიულობის პოტენციალს.

რა იწვევს მასტიტს?

მასტიტს სხვადასხვა სახის ბაქტერიები იწვევენ. ეს ბაქტერიები ცხოველის გარემოში არსებობენ და უმეტესად სარძევე არხის საშუალებით იჭრებიან ცურში. ძლიერ დაზინძურებულ სადგომში მწველი ფურის შენახვისას, ბაქტერიების დიდი რაოდენობა იჭრება სარძევე ჯირკვალში, ეს კი დაავადების პროცესს უფრო ამწვავებს. ბაქტერიები სახლობენ ნესტიან გარემოში და მრავლდებიან დაზინძურებულ ზედაპირზე. ისინი გვხვდებიან:

- რძეში, ნაკელსა და შარდში;
- დაზინძურებულ საწველ აპარატსა და დამხმარე ჭურჭელზე;
- ნაკელით და შარდით დაზინძურებულ ცურზე;
- მწველავის ბინძურ ხელზე.

როგორ ავიცილოთ თავიდან მასტიტი?



მასტიტის პრევენციის გასაღები ცხოველის შენახვის და წველის ჰიგიენის საუკეთესო პრაქტიკაა. პირველ რიგში პირუტყვის იმუნიტეტის გაძლიერებაზე ვიზრუნოთ. დავუთმოთ მათ მეტი ყურადღება, დროულად ჩავუტაროთ ვეტერინარული ღონისძიებები, გამოვკვებოთ და ვიზრუნოთ მასზე. გაითვალისწინეთ, რომ ცხოველი ძლიერი იმუნიტეტით ადვილად ერევა ბაქტერიებსა და სხვა პათოგენებს. რაც შეეხება წველის ჰიგიენის პრაქტიკას, გთავაზობთ შემდეგს:

- ნაბიჯი I: წველის შემდეგ და წველამდე გარეცხეთ სანველი ვედრო ან სანველი აპარატის თავები სარეცხი საშუალებით;
- ნაბიჯი II: გაასუფთავეთ ცური წველის დაწყებამდე, შეგიძლიათ გამოიყენოთ სუსტი ქლორიანი წყალი (გაზავება წყალი - 9/ქლორი-1);
- ნაბიჯი III: მოიხსენით ბეჭდები (ბეჭდის შიდა ზედაპირზე ბაქტერიები ბუდობენ) და დაიბანეთ ხელები ანტიბაქტერიული საპნით;
- ნაბიჯი IV: ბოლომდე ჩამოწველეთ ცხოველი, დარწმუნდით რომ ცურში რძე არ დარჩენილა. ბაქტერიები ცურში შეჭრის შემდეგ, რძით იკვებებიან და მრავლდებიან. რაც უფრო ცოტაა რძის ნარჩენი ცურში, მით უფრო ნაკლებია ბაქტერიების გამრავლების შანსი;



- ნაბიჯი V: წველის შემდეგ, ცხოველს მცირე საკვები მიეცით. წველის დასრულებიდან 5 წუთის განმავლობაში დვრილი ღია რჩება და ცხოველიც დასასვენებლად ძირს წვება. ღია დვრილში კი გაცილებით მეტი ბაქტერია შედის, ვიდრე სხვა დროს. საკვების მიღება კი გაართობს ცხოველს უახლოესი 5 წუთის განმავლობაში.



დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ



ვეტერინარ- _____

მისამართი: _____ ტელ.: _____



**მომზადებულია იმერეთის ვეტერინართა
რეგიონული ასოციაციის მიერ**

ბროშურა დაიბეჭდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში
„საქართველოში აგრობიზნესის ფორმალური, არაფორმალური და ინფორმალური
პროფესიული განათლების განვითარება“